საქმე № სსპ-2-17 **5 ივლისი, 2017 წელი**

№ სსპ-2-17 ი.-ი **ქ. თბილისი**

საკვალიფიკაციო პალატის

შემადგენლობა:

ეკატერინე გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პაატა სილაგაძე, ვასილ როინიშვილი

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე

საჩივრის ავტორი – თ. ი.-ი

მოწინააღმდეგე მხარე – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

გასაჩივრებული აქტი – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა შეფასების ფურცლები და ქულათა შემაჯამებელი ოქმი

საჩივრის ავტორის მოთხოვნა – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შეფასების ფურცლების და ქულათა შემაჯამებელი ოქმის გაუქმება და საქმის საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთვის დაბრუნება გასაუბრების ეტაპზე ხელახლა განსახილველად

აღწერილობითი ნაწილი:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატას 2017 წლის 30 ივნისს საჩივრით მომართა თ. ი.-მა (შემდეგში: საჩივრის ავტორი ან ყოფილი მოსამართლე), რომელმაც მოითხოვა:

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა შეფასების ფურცლებისა და ქულათა შემაჯამებელი ოქმის გაუქმება;

1.2. საქმის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის დაბრუნება გასაუბრების ეტაპზე ხელახლა განსახილველად.

2. საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ მისი, როგორც კონკურსის მონაწილე ყოფილი მოსამართლის კანდიდატის შეფასება განხორციელდა საქართველოსა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით დადგენილი პროცედურების დარღვევით, რამაც არსებითად იმოქმედა საბოლოო შედეგზე.

3. საჩივრის ავტორი შემდეგ ფაქტობრივ გარემობებზე უთიუთებს:

3.1. მან 2017 წლის თებერვალ-მაისში მონაწილეობა მიიღო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატისა და ამავე სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში, როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილმა მოსამართლემ;

3.2. შეფასების ფურცლებისა და ქულების შეჯამების ოქმის თანახმად, ყოფილმა მოსამართლემ გასაუბრების შედეგად მიიღო შემდეგი შეფასება: კეთილსინდისიერების კრიტერიუმი გადალახა 14-დან 12 ხმით, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას, 14 შემფასებლისგან მიიღო 852 ქულა, ანუ 60,86%. შესაბამისად, კანდიდატმა ვერ გადალახა კომპეტენტურობის 70%-იანი ზღვარი და მოსამართლედ გამწესებაზე მის კანდიდატურას კენჭი არ ეყარა.

4. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს გასაუბრების შედეგებზე არ გამოუცია შესაბამისი სამართლებრივი აქტი - დასაბუთებული გადაწყვეტილება, მის მიერ კომპეტენტურობის კრიტერიუმის არდაკმაყოფილების თაობაზე, რაც წარმოადგენს „საერთო სასამართლოების

შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდეგში: ორგანული კანონი) 36^4 მუხლის მე-17 პუნქტის დანაწესის დარღვევას.

5. საჩივრის ავტორი უთითებს, რომ მართალია, ზემოაღნიშნული კანონის დანაწესში საუბარია მოსამართლეზე და არა ყოფილ მოსამართლეზე, თუმცა, კონკურსთან დაკავშირებული ნორმების ერთობლიობაში წაკითხვისა და ლოგიკური განმარტების შედეგად, კანონის ეს დათქმა ასევე უნდა გავრცელდეს ყოფილ მოსამართლეზეც, რადგან სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატთა კეთილსინდისიერება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ფასდება ერთი და იმავე სამართლებრივი ნორმების საფუძველზე.

6. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, გასაუბრების შედეგებზე დასაბუთებული სამართლებრივი აქტის გამოუცემლობა, წარმოადგენს კანონით დადგენილი სტანდარტით შეფასებისა და საბჭოს მიერ უფლებამოსილების მართლზომიერად გამოყენების ვალდებულების დარღვევას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჩივრის ავტორი მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილებაზე *(„საქართველოს მოქალაქეები: მ. კ-ი, ნ. დ-ი და მ. გ-ი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“)*, რომლითაც განმარტებულია, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების დასაბუთებულობის აუცილებლობა.

7. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მისი შეფასებისას დადგენილი სტანდარტები დაარღვია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14-დან 9 წევრმა, კერძოდ, საბჭოს 9 წევრის შეფასება მოსამართლეობის კანდიდატის კომპეტენტურობის კრიტერიუმში არაობიექტური და უკანონოა, რადგან მათ არათუ არ შეუსწავლიათ, არამედ გასაუბრებაც კი არ ყოფილა ისეთ თემაზე, როგორიცაა მაგალითად: კანდიდატის პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში; სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი, რაც უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლის მიერ განხილული საქმეების შესწავლის გარეშე ვერ შეფასდება. ასეთ ვითარებაში, სხვა შემფასებლებთან შედარებით და მინიმალურ ზღვარზე ბევრად დაბალი შეფასებები არათუ ეწინააღმდეგება ორგანული კანონის 36^1 მუხლით დადგენილ სტანდარტს - შეფასების მიზნისა და პრინციპების შესახებ, რომელთა თანახმად, შეფასების მიზანია თანამდებობაზე ღირსეული, კვალიფიციური და კეთილსინდისიერი მოსამართლის შერჩევის გზით დამოუკიდებელი და კვალიფიციური მართლმსაჯულების უზრუნველყოფა, რომ შეფასება მოხდეს ობიექტურად,

კეთილსინდისიერად და მიუკერძოებლად, არამედ აღნიშნული, შეფასების პროცედურის არსებითი დარღვევაა, რამაც ყოფილი მოსამართლის, როგორც კონკურსში მონაწილე ერთ-ერთი კანდიდატის მოსაზრებით, არსებითი გავლენა მოახდინა მისი შეფასების საბოლოოო შედეგზე.

8. საჩივრის ავტორი ამ საკითხთან მიმართებით ყუარდღებას ამახვილებს ორგანულ კანონში 2017 წლის თებერვლის ცვლილებით განხორციელებულ საკანონმდებლო ნოვაციაზე, რომლის საფუძველზე საქართველოს საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების მოქმედ და ყოფილ მოსამართლეებთან დაკავშირებით (საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისაგან და იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლისაგან გათავისუფლება, მათ მიერ განხილული საქმეების საბჭოს მიერ შეფასების დაუშვებლობა და მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების 3-წლიანი ვადის გაუვრცელებლობა), რომლითაც, მისი მტკიცებით, ცხადი გახდა კანონმდებლის ნება, რომ საკონსტიუციო და უზენაესი სასამართლოს მოქმედი და ყოფილი წევრების კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა დადასტურებული და აღიარებულია. საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ კანონის ამ სტანდარტიდან გამომდინარეობს, რომ საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების მოქმედ და ყოფილ მოსამართლეებს კომპეტენტურობის მახასიათებლებში შეფასების მაქსიმუმი თუ არა, მინიმალური 70 %-იანი ზღვარის გადასალახი შესაბამისი ქულები კანონმდებელმა მიანიჭა. ამ საფუძვლით, საჩივრის ავტორს საბჭოს 9 წევრის შეფასება არაობიექტურად და უკანონოდ მიაჩნია, რადგან მათ კონკურსში მონაწილე უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლის არც ერთი გადაწყვეტილება და განხილული საქმე არ შეუსწავლიათ (კანონით ეკრძალებათ) და არც კანდიდატის პროფესიულ თვისებებს იცნობენ.

9. ამავე კონტექსტში საჩივრის ავტორი უთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევაზე და განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოიხმობს საქმეს სტურუა საქართველოს წინააღმდეგ (საქმე # 45728/05, პ.40,41, 7 მარტი, 2017 წელი). დასახელებულ საქმეზე სამართლიანი სასამართლოს (ტრიბუნალის) უფლების დარღვევა, საჩივრის ავტორს მიაჩნია მის მიმართ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დაშვებული დარღვევების იდენტურად, რადგან მოცმეულ შემთხვევაში არ არსებობს არათუ დასაბუთებული გადაწყვეტილება, არამედ, საერთოდ არ არის გადაწყვეტილება მიღებული და მოსამართლედ დანიშვნაზე კანდიდატს უარი ეთქვა მხოლოდ „შაბლონური“ შეფასების ფურცლების საფუძველზე.

10. საჩივრის ავტორი უთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებაზე: *„გადაწყვეტილების დასაბუთება არ შემოიფარგლება მხოლოდ თანამდებობაზე გამწესების თაობაზე მიღებული აქტის დასაბუთების მოთხოვნით. საქართველოს კონსტიტუციით დადგენილია დასაბუთების მოთხოვნა არა ფორმალურად გამწესების აქტთან დაკავშირებით, არამედ - დასაბუთებულობა უკავშირდება თანამდებობაზე გამწესების მთელ პროცესს (როგორ წარიმართა ეს პროცესი და რამ განაპირობა ამა თუ იმ კანდიდატის დანიშვნა ან დანიშვნაზე უარის თქმა) .... სწორედ ამ პროცესმა უნდა განაპირობოს საბოლოო აქტში შესაბამისი წინაპირობების არსებობისა თუ არარასებობის ობიექტური დასაბუთება, რათა ნათლად იყოს ასახული კანდიდატის თანბამდებობასთან შესაბამისობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი. მხოლოდ დასაბუთებული გადაწყვეტილების გადამოწმება არის შესაძლებელი და არა ფორმალურად შედგენილი „შაბლონურად“ დასაბუთებული აქტის.... ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, დისკრეციული უფლებით მანიპულირებისაგან დაცვის გარანტიას წარმოადგენს, ერთი მხრივ, აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა და გასაჩივრების საფუძვლები და, მეორე მხრივ, შეფასების ფურცლები. შეფასების ფურცლების მეშვეობით განხორციელებული ეტაპის ბუნებიდან გამომდინარე, კანდიდატისათვის ხელმისაწვდომი უნდა ხდება საბჭოს წევრთა დისკრიმინაციული, თვითნებური და მიკერძოებული გადაწყვეტილების პრევენცია ეფექტური გასაჩივრების შესაძლებლობით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ კანონმდებელის მიერ შემოთავზებულ თანამდებობაზე გამწესების წესი ითვალისწინებს გადაწყვეტილების მიღების ისეთ პროცედურას, როდესაც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა ინდივიდუალურად უნდა დაასაბუთონ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ფაქტორები და ნათლად მიუთითონ ის ფაქტობრივი გარემოებები, რასაც ეყრდნობა მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ამასთანავე, ნათლად ჩანს, თუ რა გზით მივიდა გადაწყვეტილების მიმღები ორგანო შესაბამის გადაწყვეტამდე, რაც მის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების მართებულობის გადამოწმების შესაძლებლობას იძლევა“ (იხ. წინამდებარე განჩინების მე-6 პუნტში მითითებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება).*

11. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მის შეფასებაში „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^3 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ინტერესთა შეუთავსებლობის თაობაზე იმპერატიული დანაწესის უხეში დარღვევით მიიღეს მონაწილეობა საბჭოს წევრებმა: რ.ნ.-მ და ს.მ.-მა, რომლებმაც გასაუბრების დაწყებისთანავე თვითაცილება განაცხადეს და დატოვეს სხდომა, ხოლო შემდეგ კი მონაწილეობა მიიღეს მის შეფასებაში. მითითებული ნორმის თანახმად, საბჭოს წევრი მონაწილეობას ვერ მიიღებს კონკურსის პროცედურებში, თუ თავად მონაწილეობს მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში. საჩივრის ავტორი გამოთქვამს ეჭვს, რომ დასახელებული წევრები, საბჭოს სწორედ იმ 9 წევრთა შორის არიან, რომლებმაც შეუსაბამოდ დაბალი ქულები დაუწერეს

მოსამართლეობის კანდიდატს, რამაც, მისი მოსაზრებით, გავლენა მოახდინა შეფასების შედეგებზე.

12. საბოლოოდ, კონკურსის შედეგად მოსამართლედ გამწესებაზე წინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში მითითებული მოსამართლეობის კანდიდატს კენჭი არ ეყარა.

13. ყოფილი მოსამართლე წარმოდგენილი საჩივრის საკვალიფიკაციო პალატის მიერ განხილვის (განსჯადობა) საფუძვლად უთითებს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტსა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის შესაბამისად, სასამართლო კონტროლის განხორციელებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველსაყოფად, საჩივარი განსახილველად ექვემდებარება საკასაციო სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატას, ვინაიდან საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ საბჭოს წევრთა ქმედების (შეფასების ფურცლების) დასაბუთებულობისა და საფუძვლიანობის გასაჩივრება კვლავ საბჭოში, წარმოადგენს მიუკერძოებლობის პრინციპისა და სამართლიანი ტრიბუნალის უფლების დარღვევას *(სტურუა საქართველოს წინააღმდეგ, საქმე # 4528/05, პ.35,36; 7 მარტი, 2017 წელი).*

14. სადავო აქტის გასაჩივრების ვადის ათვლის თარიღთან მიმართებით, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა შეფასების ფურცლები მას ჩაჰბარდა 2017 წლის 14 ივნისს, შესაბამისად, დაცულია გასაჩივრებისათვის ორგანული კანონით დადგენილი ვადა.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საჩივარი, თანდართული მასალები და მიაჩნია, რომ საჩივარი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შეფასების ფურცლებისა და ქულათა შემაჯამებელი ოქმის გაუქმებისა და საქმის იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის გასაუბრების ეტაპზე ხელახლა განსახილველად დაბრუნების მოთხოვნით, წარმოებაში არ უნდა იქნეს მიღებული, შემდეგი არგუმენტაციით:

15. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახამად, საქართველოს უზენაეს სასამართლოში შექმნილია საკვალიფიკაციო პალატა, რომელიც ამავე კანონის 19^1, 35^4, 36^5 და 36^6 მუხლებით დადგენილი წესით განიხილავს საჩივრებს მოსამართლეობის კანდიდატისათვის მოსამართლის

თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ და მოსამართლისათვის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებზე.

16. საკვალიფიკაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსამართლეობის კანდიდატმა ვერ დაძლია კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე შეფასების მაქსიმალურ ქულათა ოდენობის ზღვრული 70 %-იანი ბარიერი, მან მხოლოდ 60, 86 % დააგროვა მითითებული კრიტერიუმით მისი შეფასებისას, რის გამოც მისი კანდიდატურა არ ყოფილა წარდგენილი კენჭისყრაზე იუსტიციის უმაღლესი საჭოს წინაშე *(იხ. ამ განჩინების მე-12 პუნქტი),* სწორედ ამის გამო დასახელებულ კოლეგიურ ორგანოს არ განუხილავს და, შესაბამისად, სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის მიმართ არ გამოუცია მოსამართლის თანამდებობაზე მისი უვადოდ გამწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში გასაჩივრებას ექვემდებარება. აღნიშნული კი იმას ნიშნავს, რომ საჩივრის ავტორი არ არის საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში გასაჩივრების უფლების მქონე სუბიექტი და ამ საფუძვლით საკვალიფიკაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას წარმოებაში მიიღოს წარმოდგენილი საჩივარი.

17. ზემოხსენებული მსჯელობის გათვალისწინებით, წარმოდგენილი საჩივარი არ ექვემდებარება განსახილველად საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატას და ყოფილ მოსამართლეს უარი უნდა ეთქვას საჩივრის წარმოებაში მიღებაზე. ამასთან, საკვალიფიკაციო პალატა განმარტავს, რომ საჩივრის ავტორს უფლება აქვს საერთო სასარჩელო წესით დაიცვას საკუთარი ინტერესები.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატამ იხელმძღვანელა საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-15.1 „ზ“, 19^{1}.1, 36^{5} მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე 399-ე, 372-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. თ. ი.-ს უარი ეთქვას საჩივრის წარმოებაში მიღებაზე;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე **ე. გასიტაშვილი**

მოსამართლეები: **პ. სილაგაძე**

ვ. როინიშვილი